№ 268
ხუთშაბათი, 25 დეკემბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 268
ხუთშაბათი, 25 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 დეკემბერს.

ტფილისი, 24 დეკემბერი

„ხოლო რა ჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დასჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა და შეჰკრბენ წინაშე მისთა ყოველნი ნათესავნი და განარჩინნეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა იგი მწყემსმან რა განარჩინოს ცხოვარნი თიკანთაგან, და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯვენით მისსა და თიკანნი მარცხენით.

„მაშინ ჰრქვას მეუფემან მარჯვენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისად, რამეთუ მშიოდა და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და მასვით მე; უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ და მოხვედით ჩემდა.

„მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქვან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ, ანუ წყურიელი და გასვით შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ, ანუ შიშველი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური, ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

„და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვით თქვენ: რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ".

„მაშინ ჰრქვას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი გამზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით მე; უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე, უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქვან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშლოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა, და არა გმსახურეთ შენ?

„მაშინ მიუგოს მან და ჰრქვას მათ: ამინ გეტყვი თქვენ, რამდენი არა უყავთ ერთსა ამასა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ".

რას მოასწავებს ეს დიდებული მოძღვრება მისი, ვისის შობის დღესაც ვდღესასწაულობთ? ვინც მშიერს არ მიეცით ჭამადი, მწყურვალს არ ასვით, უცხო არ შეიწყნარეთ, შიშველი არ შემოსეთ, სნეულს არ მიხედეთ, საპყრობილეში მყოფს ნუგეში არ ეცით, იგი ქრისტიანე არ არისო, რადგანაც რავდენად არ განიკითხეთ ერთი ამა მცირეთაგანი, არ გამიკითხეთ მე, ღმერთი თქვენიო.

საცა მადლია, იქ ღმერთია და როცა იგი მადლი არ გამოგვიმეტნია ჩვენთა მცირეთა ძმათათვის, გვიგმია ღმერთი, გვიგმია იესო ქრისტე, გვიგმია მისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, უარ-გვიყვია ქრისტიანობა. სიტყვითა ვდღესასწაულობთ დღევანდელს დღეს და საქმით კი შორსა ვართ. ბევრნი არიან თიკანნი და ცოტანი ცხოვარნი.

მეტი არ იქნება, თუ ყოველ დღე არა, ქრისტეს შობის დღეს მაინც, წელიწადში ერთხელ, ჩვენს გულში ჩავიხედოთ და სვინიდისი ჩვენი დავსვათ ჩვენდა გამკითხავად. ნეტარ არის იგი, ვისაც შეეძლება ამ განკითხვის შემდეგ მართლა სთქვას გულსა შინა თვისსა: მშიერ იყო და მივეცი ჭამადი, მწყურვალ იყო და ვასვი, უცხო იყო და შევიწყნარე, შიშველ იყო და შევმოსე, სნეულ იყო და მივხედე, საპყრობილესა იყო და ნუგეში ვეცი.

კურთხეულ არიან ესენი, ბძანებს იესო ქრისტე: და ამათთვის არის დასაბამიდგანვე სოფლისა მომზადებული სასუფეველიო. შობა ქრისტესი უხაროდეთ ამათ, რადგანაც მათთან არს ქრისტე-ღმერთი სააქაოს და საიქიოსაც. ნეტარ არის იგიც, ვისაც ერთი მცირეთაგანი თუმცა არ განუკითხავს, არ შეუწყნარებია, მაგრამ დღესასწაული ესე გარდაუქმნია ამ მიზეზით სინანულის დღედ, დღედ განწმენდისად წარსულ ცოდვათაგან, რათა ეღირსოს იგიც თქმას: ჩემთანა არს ღმერთი და მე მასთანა.

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და 1897 წლის 22 სექტემბერს უბოძა წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენის კავალერობა ბანტით, ოც-და-ხუთი წლის აფიცრის ხარისხში და უნაკლულო სამსახურისათვის: ნიკოლოზის საკავალერიო სასწავლებლის იუნკერთა ესკადრონის უფროსს კონსტანტინე ყარანგოზიშვილს; მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, დიდის მთავრის დიმიტრი კონსტანტინეს ძის სახელობის მე-16 სამეგრელოს რაზმის პოდპოლკოვნიკს ივანე ქართველიშვილს; ახალ ბაიაზეთის ზურგის რაზმის პოდპოლკოვნიკს თავადს კოსტა ჩერქეზიშვილს; ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის იუნკერთა როტის უფროსს იოსებ დიდებულიძეს; ოც-და-თხუთმეტის წლის საკლასო ხარისხსა და თანამდებობაში უნაკლულოდ სამსახურისათვის სტატსკი სოვეტნიკებს: განჯის საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს ნიკოლოზ ჩიგიანს; ტფილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო კრების დეპუტატს ალექსანდრე სავანელს; კოლეჟსკი სოვეტნიკს—ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საგანგებო საქმეთა მოხელეს ბესარიონ კანდელაკს; ნადვორნი სოვეტნიკს—კავკასიის ოლქის გზათა უწყების გამგეობის კანცელარიის გამგეს თანაშემწეს ალექსანდრე გაბაშვილს. იმ სამსახურის ჯილდოდ, რომელიც აღნიშნულია ორდენის საბჭოს მე-394 მუხლის მე-1, 2 და 7 პუნქტში,—სენაკის მაზრის, ნაქალაქევის ნაწილის ბოქაულს, ნადვორნი სოვეტნიკს ბესარიონ ქავთარაძეს.

სოფლის ცხოვრებიდგან

(საშობაო ამბავი)

შობის წინა დღეა. არე-მარეს თეთრი ზეწარი გადაჰკვრია იმ ღამით მოსულის თოვლით. კარგა წამომაღლავებული მზის სხივები შეყვარებულსავით დასტრიალებენ დედამიწის თეთრად დახრილულ და ათქვირებულ გულ-მკერდს, ზედ ათასს ფრად ელვარებენ და საოცნებოდ ზიმზიმბრჭყვიალებენ, მაგრამ, ძალა-მიხდილ და უიმედო სიყვარულისაგან ქანცგამოლეულ არშიყივით, სასო წარკვეთიათ, უღონო, სითბო ცხოველმყოფელობას მოკლებულ სხივებით თოვლ-ყინვისაგან შებოჭილ-შებორკილებულ დედამიწას გული მოულბონ, მფარველ ანგელოზად გაუხდნენ და მტლედ დაედვნენ.

ქიზიყის ს—ჯ—ს მცხოვრებნი გაფაციცებით სახვალიო სამზადისში არიან გართულნი, თავ-ყირაზედ ტრიალებენ, რომ დიდის ხნით დათრგუნვილ-დაყუდებულ სხეულს ერთის დღით მაინც შვება-ლხენა მიანიჭონ. აქა-იქ ეზოებიდგან მოისმის ბურვაკების ჰყვირილი, ყმაწვილების ჟივილ-ხივილი; მათი სიცილ-კასკასი ცასა სწვდება, მოუთმენლადა და გულის ფანცქალით მოელიან დასაღამოჟამებას, რომ ჯგუფად, ხტუნვა თამაშით, „ალილოზე" დაიარონ. ყველა ფუსფუსებს, ყველას სახლში დროებით მწუხარებას სიხარულისათვის დაუთმია მეფობა, მხოლოდ გეგენა საბრალოშვილის სახლ-კარს-ღა ემჩნევა ძველებური, სევდა-ნაღველის მომგვრელი, ერთფეროობა. კერასთან დანთებულ, მბჟუტავ ცეცხლს გარს შემოსხდომიან გეგენა, იმისი ჯალაბი სალომე და ამათი რვა წლის შვილიშვილი, შავთვალ-წარბა, პირმრგვალი მიხა. ამ ოჯახში დასადგურებულ ტანჯვა-ვაებასა და გაჭირვებულს ცხოვრებასავე ჰმოწმობს მიწით გალესილის და ჩალით დახურულ, მიწნეხილ წნულის ქოხის გარეგან-შინაგანი მოწყობილება. კერას უკან შესაბრალისად ატუზული გამოფხეკილი, ცალიერი გოდორი, მარჯვენა კედლის შუაგულ ალაგას კაპიან მანებზედ შეყენებული ვარცლი, მარცხენა კედლის სიგძეზე ჯოხებისაგან გაკეთებული, დაბალი, ნეჯა დაგებული საწოლი, რომელზედაც სალამ-სალამოობით ჰუჭყიანი, გადაუმოსელი საბან-ბალიშ-ლეიბი იშლებოდა და მხოლოდ დილა-ადრიან ეს ქვეშ-საგები, პირ-დარცხვენილი სადღაც იკუჭ-იმალებოდა, ერთი წყლის საზიდი კოკა, თუჯის ხელის სანათი კაჩოზედ ჩამოკიდებული და დანჯღრეულ-თავ-ავარდნილი ყუთი, აი გეგენას სადგურის მოწყობილ-მოკაზმულობა, იმისი ავლა-დიდება. მაგრამ დაგვავიწყდა ვარცლზედ გადაფარებულ ხამის ტილოსათვის კუნჭული აგვეწია, რათა ჩვენს თვალს ორიოდე გალოდებულ-გაკორაწებული ფეტვის მჭადი და ერთ ლიტრამდის ტომარაში გამოხვეულ-გამოკრული, ფეტვისავე ფქვილი წარმოსდგომოდა. ამას ერთი გადამღრძვალი მუტრუკიც რომ დაუმატოთ, სავსებით აღინუსხება გეგენას სიმდიდრე, ქონებრივი შეძლებლობა.

თვით გეგენა სამოც წლისაზედ მეტი იქნებოდა. დიდი ხნის ავადმყოფობისაგან გამხდარსა და გაყვითლებულს სახეზედ სევდა-ჭმუნვარების ბეჭედი ეჯდა. რასაც დანაოჭებული შუბლი, ცისფერი, ღრმად ჩამალული, მოელვარე თვალები და ჭაღარა შერთული, მეტის-მეტის უვარცხნელობისაგან აბურძგნული, თმაწვერ-ულვაში, აორკეც-აძლიერებდა. გეგენას ტვირთის შემამსუბუქებელი სალომეც, დღე-მუდამ სხვის ხელში შეცქერისა და სხვათა თონეებზედ სამსახურ-ტრიალისაგან, ძვალ-ტყავად ქცეულიყო, პირის კანი დანაოჭებოდა, ზედ მისწვოდა და ეს შუა ხნის დედაკაცი, პირველის შეხედვით, ღრმად მოხუცებული გეგონებოდათ.

გეგენას ხელში შვინდის კომბალი ეჭირა და ცეცხლზე ატრიალებდა, ეტყობოდა კომბალს მიხას უჭრელებდა. გეგენას ხელები ამ საქმიანობაში იყო გართული, იმისი ფიქრი-კი მწვავე-გაბოროტებულ მოგონებას შეეპყრა, რასაც წამ-და-უწუმ ამოოხვრა და ცეცხლის მფრქვევი თვალები უმტკიცებდა. გეგენამ კარგად იცის, რომ გარშემო მეზობლები სახვალიოდ რაიმე საკლავს იმზადებენ სამასპინძლო-დროების გასატარებლად, მაგრამ ამას არა თუ სამასპინძლოდ, სათავისო პირის გასახსნილებელიც არა გააჩნია რა—ერთი მამალი-ღა ებადათ, ეს ორი თვე დაბმული ჰყავდათ და ასუქებდნენ საშობაოდ და—დახე მუხდალის ბედის წერას!—ისიც ტყის დარაჯების გასახარელი შეიქმნა.—ნეტავი ფეხი მომტეხოდა და იმ დღეს ავადმყოფი კაცი ტყეში არ წავღანღალებულიყავ,—დაარღვია სიჩუმე გეგენამ: ი ქათამი ჩვენ დაგვრჩებოდა და იქნება ჩვენც ქვეყანაში გავრეულიყავით. ი ჩემი ცოდვით სავსეები დაწრწიან ტყეში მშიერი მგლებივით, იქნება სასუნსლავს წავაწყდეთ სადმეო. იმათ ხომ ღმერთი არა აქვსთ და სარჯულავი, ვისაც მოატანენ ტყეში, სულ ტყავს აძრობენ—წაგართმევენ წალდს საბელ-აპეურს და მოდი ნუ დაიხსნი...

— აკი გიშალე კაცო, ნუ წახვალ, ძლივს დალახლახებ, „ყარაულები" მოგატანენ სადმე და კარგს არას დაგაყრიან...

— რა ვიცოდი, ადამიანო, ავადმყოფ კაცს ძირს ნაყარ ჩხრიმალ-ჩხრუმალზედაც წინ დამიდგებოდნენ და ისეთი გულქვავები იქნებოდნენ, ერთ კონა ხმელ ფიჩხს არ გამომატანინებდნენ, რომ საშობაოთ უსარევლო მჭადი მაინც გამოგვეცხო კეცებში.

— ი სახლ-კარი-კი ამოუწყდეთ იმათ და გაიბრაჰტ-გაინაშნენ, რომ კაცის შებრალება არ იციან. რით ვერ გაიგე და შეიტყე, ადამიანო, რომ ისინი იუდის კერძები არიან, იმათგან პირში სული აღარავის უდგა. ორიოდე წკირი ფიჩხი რომ გამოიტანო, ორი იმდენი ფას-პატივი უნდა ჩააყარო ი გაუმაძღარ-ჩასახეთქ მუცელში. მაგ მგლების ხელში რაღა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება.

— ეჰ, რას ამბობ, ადამიანო, უიმედოდ ჩაიქნია თავი გეგენამ,—ეგენი ჩვენი სისხლი და ხორცნი მაინც არიან, ცოტა რასმეს მაინც შეასმენ და ქრთამით დააჩუმებ, პირში ბურთს ჩასჩრი, ამბობენ, ამას იქით ,,ყარაულებათა'' და მათ უფროსებად სულ გადამთიელი დაღისტანის ლეკები უნდა დააყენონო და თითო, უბრალო ფიჩხის ღერიც-კი უნდა დანუმრონო... აბა გაჭირება მაშინა ნახე აი, ფრინველიც-კი ვეღარ გაიჭაჭანებს ტყეში იმათის შიშით...

ამ ამბის გაგონებამ სალომე მწარედ დაალონა—ჯერ ეხლა უშეშფიჩხობით სიცივისაგან კავკავებენ, გზებზე მოკრეფილის წვრიმალით მიდიან იოლად, მაშინ წვრიმალიც უნდა დაენატრულოთ?!. გეგენამაც გაათავა კომბლის კეთება, როდესაც ესე დამზადებული გადასცა მიხას, იმის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მიხამ კარგა ხანს ატრიალა ხელში კომბალი, მერე უცბად ბებიასთან მიირბინა და დაუწყო ხვეწნამუდარა, მეც სხვა ჩემ ტოლ-ბიჭებთან გამგზავნე „ალილოზე"-ო. ალილოს გაგონებაზედ გეგენას სახეზე რაღაცა იდუმალმა, ნათელმა აზრმა გადაჰკრა, მაგრამ მალე ისევ სახე მოეღრუბლა, აჩრდილმა გადაურბინა. კარგა ხნის ყლურწუნის შემდეგ, როგორც იყო, გეგენამ გაბედა, ეტყობოდა კი ყოყმანებდა.

— ადამიანო, ერთი სულელური აზრი მომივიდა თავში და, არ ვიცი, შენ რას იტყვი. ე ერთი თვის ნავადმყოფარ კაცს რომ პირში ს[illegible]ლუკმა არ ჩამსვლია და ცარ[illegible] გაკორაწებულ მჭადის ჭამ[illegible] ყელი ამომეხლანძა, კუჭი შ[illegible]ვა და ნაწლევი ნაწლევსა და [illegible]ერდი ფერდს მიმეკრა, აპალთია [illegible]ცელში ცეცხლი გამიჩნდეს; [illegible]თი გული მეუბნება, მოდი ეშ[illegible]ს დაუჯერე და ამაღამ პატარ[illegible] მიხათი „ალილოს" დაიარეო—იქნება ვინმე ღვთის ნიერ[illegible] გამო[illegible]ტანოს რამე, ან იქნება მის[illegible]ოცემაც წამოსცდეთ, [illegible] ერთი არ არის, ხვალეც [illegible] აუხსნილებ[illegible]ელი—ხახა-მშ[illegible]უგე[illegible]ვრჩეთ?!.

— რას ამბობ, კაცო, ავადმყოფი კაცი, ამ სიცივე-ყიამათში სად გინდა წახვიდე. გზაში ხო გაიყინე შენცა და ე პატარა ყმაწვილიცა. სხვაც რომ არა იყოს-რა, ვინ რას იტყვის, ბებერმა კაცმა, პატარა ბიჭივით, ,,ალილოზე" იარო; ქვეყანაზე ხომ თავი აღარ გამოგვეყოფა...

— განა მე-კი არ ვიცი, სირცხვილია, ჩემის ხნის კაცს ბიჭ-ბუჭების საქმე არ შემშვენის, მაგრა, ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიდირდესო. თავ-პირი მაგრა უნდა შევიხვიო, ხმა უნდა გამოვიცვალო, რომ არავინ მიცნას, თორემ ხვალე იტყვიან, გეგენას მათხოვრობა დაუწყიაო. მაშ რა ვქნათ, ადამიანო, ესეც თუ არ მოვახერხე, მშივრები ხომ არ ამოვწყდებით... ესა და ამ გვარი მრავალი საბუთი დასჭირდა გეგენას, რათა სალომესათვის დაემტკიცებინა განზრახულ საქციელის მიუცილებლობა. მიხა-კი ამ ბაასის დროს სიხარულისაგან ფეხზედ აღარ იდგა. მაშ „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავყავ კალათასა, ერთი კვერცხი გამომიტა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა"-ს ცოდნა ფუჭად არ ჩაუვლის? ტყუილად კი არ ჩააცივდა პაპას ეს ერთი კვირაა: „ალათასა" მასწავლეო. პაპამაც ხვეწნა-მუდარას ვეღარ გაუძლო და ხრინწიანის ამოხლანძულის ხმით მალე შეასწავლა მკვირცხლს და გონება მახვილს მიხას „ალათას" მარტივი ერთგვარი კილო. აი ეხლა ამ ცოდნით აღჭურვილნი უნდა შესდგომოდნენ პაპა-შვილიშვილი საწადელის ასრულებას.

სალამომაც მოაწია. მოწმენდილს ცაზე ვარსკვლავებმა ნელნელა იწყეს ციმციმ-კაშკაში. დასავლეთის ქარიც თანდათან ძალ-ღონეს იკრებდა, იმისი გამყინავი სიცივე კაცს ძვალმანში უვლიდა. თბილად ჩაცმულ-დახურული კაცი თუ გაჰბედავდა იმისთანა სუსხიან სალამოს გარეთ გამოსვლას, მაგრამ გეგენა ისე გაუტაცნია ხვალისათვის ქათმის შოვნის სურვილს, რომ ის ამ ჟამად არ დაგიდევს სიცივე ყინვას. ბებიამ მიხა თავისს დაგლეჯილ და გახუნებულ შალში გაახვია, გეგენამაც წამოისხა თავისი დაფლერთილი ფარაჯა და გაუდგნენ გზას. ცოტა ხანს შემდეგ ბებიას შემოესმა, ვითომ შორს, შორს ზარივით წკრიალა ხმამ ჩაირაკრაკა და მას ბოხი, დაბალი ხმა მოჰყვა მორცხვად, კანკალით. ამ ხმის გაგონებაზედ სალომემ, თითქოს გული ჩასწყდაო, ერთი მწარედ ამოიკვნესა და მორთო ქვითინი. დიდხანს ჩამოსდიოდა ცრემლები ბებიას გამხმარ ლოყებზედ და თან აგონდებოდა თავისი წარსული და აწმყო მდგომარეობა. მოაგონდა გეგენაზედ დანიშვნა, ჯვარის წერა, თავიანთი პირველ ხანად ბედნიერი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამწარებულ ჩაშხამებული, უკუღმართი ცხოვრება. სიწვრილშვილემ, მათმა სიკვდილმა და ათას გვარმა მოულოდნელმა უბედურებამ უდროვოდ მოჰხარეს წელში ქმარ-ცოლნი. დარჩათ ერთად ერთი ვაჟიშვილი, რომლის წამოზრდამდის დიდს გაჭირვებაში იყვნენ ჩაცვივნულნი, მაგრამ როდესაც სიკო დავაჟკაცდა, სახლიც ცოტა წინ წამოსწია—ეხლა უზრუნველი ცხოვრება ექნებოდათ, მოულოდნელად რომ თავისი თავი არ გაეუბედურებინა და მშობლებისათვისაც წელი არ მოეწყვიტა.

— მას აქეთ მე კარგი დღე აღარ მინახავს,—ჰფიქრობდა თავისთვის სალომე, რაც მე ჩემი საყვარელი სიკო თავისს დანიშნულის სახლს უკან კაკალზედ დავინახე ჩამომრჩვალი. თუ მართლა თავისს დანიშნულს ღალატს ამჩნევდა და ქვეყანაზედ შერცხვენა თავის-მოჭრას ჩამორჩობა ამჯობინა, რატო ერთხელ დედმამას არ გაუმხილა თავისი გულის დარდები. ერთის თვის შემდეგ ჩემ სარძლოს ვაჟიშვილი გაუჩნდა და სიკოს სახსოვრად მე წამოვიყვანე გასაზრდელად, რადგანაც დედა გაუთხოვდა, მაგრამ რა საბუთი მქონდა ჭორებისათვის დამეჯერნა და პატარა ყმაწვილი სხვისათ მეგულნა. ამ სიბერის დროს ეგ-და მანუგეშებს, თორემ აქამდის ასჯერ მივცემდი ეშმაკს სულს...

ამ ფიქრებში სალომეს მჯდომარეს ჩასძინებოდა ცეცხლაპირას. სიზმარში ჰხედავს უბადრუკი, იმისი საყვარელი მიხა დაღლილობისა და საპალნის სიმძიმისაგან ოფლში გაწურული ძლივს მოჰქშინავს, ხელში ჩურჩხელებ-კვერცხებით სავსე კალათა უჭირავს, ზურგზედ კიდევ ფეხებ შეკრული ქათმები წამოუკიდნია, გეგენაც ტვირთისაგან ძლივს მოიკაკვება, ხურჯინი და ტიკი ძალზედ გაუჭიკნავ გაუვსია, სალომე საშველად გაექანება, ადამ... მაგრამ ეს რა ტირილის ხმა ესმის. თვალები აჭყიტა, მოიფშვნიტა, კიდევ სიზმარში ხომ არა ვარო. არა, ნამდვილად ეს მიხას ტირილის ხმას ჰგავს, მოიცა, ის არის, ის,—და უცბად ფეთიანივით გარეთ გავარდა.

— რა არის შვილო, რათა სტირი, პაპა რაღა უყავ?

— პაპამ ერთგან ვილაცას სახლში თავისს სახელს ყური მოჰკრა თუ არა, მაშინვე ჩვენს სოფელს გვერდი აუქციეთ და გადაღმა სოფელში მივყვანდი „ალილოზე". შეუდექით აღმართს, ძლივს მივბობღავდით; გზა გაყინულიყო, წამდა უწუმ ფეხი გვისხლტებოდა. კლდის თავში რომ ავედით, უცბად პაპას ფეხი გაუცურდა და ყირამალა ხევში გადავარდა. მე შემეშინდა და მაშინათვე აქეთკენ მოვკურცხლე...

— უი, ჩამქოლეთ, მომკალით!... მირბოდა და მიჰკიოდა გამწარებით სალომე...

ე. მ—შვილი

საშობაო სურათი

ტევრიე ტენერისა

დილის რვა საათი იქმნებოდა. პარიჟი ის-ის იყო იღვიძებდა. სასტუმროები და დუქნები, სადაც ხალხი წინა ღამეს მამლის ყივილამდე ატარებდა დროს, ჯერ დაკეტილი იყო. ქუჩაში მოსჩანდა მხოლოდ ორიოდე საქმის კაცი, რომელნიც ტყვია ნაკრავსავით სადღაც მიეშურებოდნენ.

მე ჩვეულებრივ დილა ადრიან ბაღში დავსეირნობდი და ნება-უნებურად გამვლელ გამომვლელს ვათვალიერებდი. ბოლოს ბაღს თავი დავანებე და ზლაზვნით მდინარე სენასაკენ გავწიე. დაღვრემილი მიაქანებდა სენა თავისს მოყვითალო ტალღებს და, თითქოს ვილაცას ემდურისო, ბუტბუტით მიეჩქარებოდა ქვეითკენ, ხოლო შუბლ-შეკრული და ღრუბელ-გადაკრული ცა ზევიდგან ჰყურებდა და გაფაციცებით თვალს ადევნებდა ყოველსავე იმის მოძრაობას.

დიდხანს აღარ გავჩერებულვარ აქ და სენტ-ანტუანის უბნისკენ წავედი. ამ უბნის კუთხეში სათამაშოების ერთი პატარა დუქანი იყო, რომლის ფანჯარაც სავსე იყო სხვა-დასხვა უცნაურის სათამაშოებით. დუქნის წინ ბავშვი ატუზულიყო და თვალებ-დაჭყეტილი ფანჯარას შეჰყურებდა. ბავშვი იმდენად პატარა იყო, რომ ფანჯარას ძლივსა სწვდებოდა. ბავშვის მადლიანმა სახემ ისე მიმიზიდა, რომ შევჩერდი და ცქერა დავუწყე.

ერთის შეხედვით ის ხუთის, ექვსის წლისა იქმნებოდა, თუმცა გაცილებით პატარა სჩანდა, ვიდრე ამ ხნის ბავშვები. ტანისამოსზედ და სახეზედ ეტყობოდა, რომ ბავშვი ერთი იმ უბედურთაგანი იყო, რომელნიც სიღარიბეში იბადებიან და დღითი-დღე ნოტიო, მყრალ ოთახში სჭკნებიან, როგორც სჭკნება ხოლმე უპატრონო ყვავილი, მზიან, პაპანაქება დღეში უწყალოდ დატოვებული. უყურებ ასეთს უბედურს და ნება-უნებურად თვალწინ გეხატება იმისი უმწეო, გატანჯული ცხოვრება, იმისი სიხარულს მოკლებული აწმყო და უნუგეშო, ეკლით დაფენილი მომავალი.

გამხდარს ტანზედ ბავშვს რაღაც კონკები და ნაფლეთები ეკიდა, ყელზედ თოკის მაგვარად დაგრეხილი ძველი შალის ნაგლეჯი ჰქონდა შემოხვეული, ხოლო თავზედ ეხურა სამგან-ოთხგან გახვრეტილი ქუდი, საიდგანაც გრძელი, აბრეშუმის მსგავსი, ხუჭუჭი თმა უჩანდა. თუმცა ბავშვს ასეთი საცოდავი ტანისამოსი ეცვა, მაგრამ ის მაინც ყოჩაღად და ცოცხლად გამოიყურებოდა. კაცს ნება-უნებურად იზიდავდა იმისი თხელი, სწორე სახე, თეთრი, სიცივისაგან ოდნავ შეწითლებული ლოყები და დიდრონი, მეტყველი, ტანჯვითა და მწუხარებით სავსე თვალები.

ისე გამიტაცა ბავშვმა, რომ თვალი ვეღარ მოვაშორე. იმას-კი მთელი თვისი გულის ყური ფანჯრისათვის მიექცია და ისე გატაცებით შეჰყურებდა ფანჯარაში გამოკიდებულს შეშის მხერხავს, რომელიც პაწია ხერხით ვითომ ჰხერხავდა რაღაცას, რომ თითქოს იმის თვალით შექმა უნდაო.

მომაგონდა ჩემი პატარა ბავშვები. მომაგონდა, რა სიხარულით მიეგებებოდნენ ხოლმე ისინი საშობაო საჩუქარს, რა ჟივილ-ხივილით და აღტაცებით მისცვივდებოდნენ დილაადრიან თავიანთ ფეხსაცმელს, სადაც ჩუმად სხვა-და სხვა საჩუქრებს ჩაულაგებდით ხოლმე, და მივხვდი, ფანჯრის წინ ატუზულის ბავშვის სურვილსა და ნატვრას.

ბოლოს მივუახლოვდი ბავშვს.

— მშვენიერი სათამაშოა, არა? ვკითხე.

— ოჰ, ძალიან კარგია...

— შენ-კი არა გაქვს ამისთანა?

— არა...

— განა მამამ არ მოგიტანა საშობაო საჩუქარი?

ბავშვმა ხმა არ გამცა.

— მამა ხომ გყავს?

— არა...

— დედა?

— დედა მყავს.

რასაც ვკითხავდი, ბავშვი თუმცა მოკლედ, მაგრამ მშვენიერის ალერსიანის ხმით მაძლევდა პასუხს. ამ ლაპარაკის დროს ბავშვს ჩემთვის სრულიად არ შემოუხედნია, ის უწინდელებრ გაშტერებული ფანჯარას უყურებდა და თვალებს სათამაშოს არ აშორებდა.

— რას აკეთებს დედაშენი?

— მუშაობს...

— რას მუშაობს?

— სკამებსა სწნავს.

— აქედგან შორსა სცხოვრობთ?

— აი იქ...

და თან ბავშვმა ქალაქის განაპირისაკენ გაიშვირა ხელი.

— უთუოდ დაგავიწყდა, რომ წუხელ ფეხსაცმელი ბუხრის წინ დაგეწყო? ყრმა ქრისტე მოვიდოდა და შიგ ჩააწყობდა რასმეს.

— ჩვენ ბუხარი არა გვაქვს...

— მაშ როგორ ახურებს დედაშენი სახლს?

— პატარა მაყალი გვიდგას...

— სულ ერთია, იმ პატარა მაყალთან დააწყობდი შენს ფეხსაცმელს!

— დავაწყე კიდეც...

— მერე? ქრისტე არ მოსულა?

— არა, მოვიდა.

— მერე, არაფერი გაჩუქა?

— არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცი?

— ისე, არ მინახავს საჩუქარი—დაიკარგა ჩემი საჩუქარი...

— სად დაიკარგა, როგორ დაიკარგა?

— ფეხსაცმელი გახვრეტილი მაქვს და იქიდგან დაიკარგა.

მე ნება-უნებურად ძირს დავიხედე. ბავშვის დაგლეჯილსა და დაფლეთილს ფეხსაცმელიდგან ტიტველა, პატარა ფეხები გამოსჩანდა.

ბავშვის გულ-უბრიყვილო ლაპარაკმა და იმისმა საცოდავმა მდგომარეობამ ისეთი სიბრალული აღმიძრა, რომ ხმა აღარ გამიცია, ჯიბიდგან ვერცხლის ფული ამოვიღე, მედუქნეს ფანჯარასთან აყუდებული ხის მხერხავი გამოვართვი და ორივე ჩემს პატარა უცნობს გავუწოდე.

ბავშვს ისე ეუცხოვა ჩემი საქციელი, რომ ორის ნაბიჯით უკან დაიწია და გაკვირვებულისა და დაბნეულის თვალებით შემომხედა.

— რაღას უყურებ, აიღე, ეს ხომ შენთვის გამოვართვი.

ბოლოს მიხვდა, გალურჯებული და სიცივისაგან გაყინული პატარა ხელები გამომიწოდა, საჩქაროდ ჩამომართვა ჯერ სათამაშო, შემდეგ ფული და ერთხელ კიდევ შემომანათა სიცოცხლით სავსე თვალები, თვალები, რომლებშიაც ერთსა და იმავე დროს გამოუთქმელი მადლობა და უსამზღვრო სიხარული იხატებოდა. ოჰ! ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს შემოხედვა. შემდეგ, თითქოს უცბად შეეშინდაო, რომ უკანვე არ გამოვართვა საჩუქარი, ბავშვმა სათამაშოს პატარა ხელები მაგრად მოუჭირა. გულზედ მიიკრა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა.

ბავშვის სიხარულით მეც ისე გამოვშტერდი, რომ ვერ გამოვკითხე, ვინ იყო და სადა სცხოვრობდა, რომ შემდეგაც ყურადღება მიმექცია, და რაიმე შემწეობა აღმომეჩინა და აი, ამიტომ მეც უკან გამოვუდექი, მაგრამ მალე წავაწყდი ხალხის ბრბოს, რომელიც ახალსა და კოხტა ეტლს შემოჰხვეოდა, რაღაცას ჰყვიროდა და ვილაცას აგინებდა.

— რა მოხდა? მოუთმენლად ვიკითხე და თან წინ წასვლა დავაპირე, რომ შემეტყო, რა ამბავი იყო.

— უბედურება... პატარა ბვში ქვეშ მოიტანა ეტლმა!.. სულ-კი ამ მეეტლეების ბრალია... გიჟებივით დაარბენინებენ ცხენებს.

გულმა რაღაც მიგრძნო. რაც ძალა და ღონე მქონდა, ხალხი აქეთ იქით მივფანტე და წინ წავიწიე. ხალხი მეღობებოდა, მაგრამ, როგორც იქმნა, მივაღწიე მომაკვდავ ბავშვამდის, რომელიც მოკრუნჩხული, დაშავებული საცოდავად ეგდო მიწაზედ. ეტლის თვლებს ზედ მკერდზედ გადაევლოთ და ბავში ძლივს-ღა სუნთქავდა. წინასწარ გრძნობამ არ მომატყუა: ჩემი საწყალი პატარა მეგობარი იყო!..

— ოჰ, დიდებულო ღმერთო! შევყვირე საშინლად აღშფოთებულმა და აღელვებულმა.

ჩემის ხმის გაგონებაზედ ბავშვმა დახუჭული თვალები გაახილა და შემომანათა. იმისს თვალებში ერთხელ კიდევ ამოვიკითხე მადლობა, სუსტმა სიხარულის ღიმილმა უკანასკნელად გაუთამაშა გაყვითლებულ ტუჩებზედ.

— ყრმა ქრისტე!.. წაილუღლუღა იმან და უფრო მაგრად მიიკრა თავისს დაშავებულს მკერდზედ დამტვრეული სათამაშო და ოქროს ფული.

ეს იმისი უკანასკნელი სიტყვები იყო. სისხლის ნაკადულმა პირიდგან თქრიალი ამოადინა. ზეციერმა ყრმამ თავის დაბადების სადღესასწაულო დღეს თავისთან დაიბარა ეს საწყალი, პაწია არსება.

მომაკვდავმაც-კი თავი არ გაანება და პატარა ხელებიდგან არ გაუშვა თავისი პირველი და უკანასკნელი საშობაო საჩუქარი, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ი. ა—ძე

საშობაოდ

ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
ვინც ეს ქვეყანა მოარჯულმერთა,
ვინც თვის რჯული და ჭეშმარიტება
უგუნურთ ამცნო და გაუღმერთა.
ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
ვინც ტანჯულ-საწყალთ დაედვა წამლად,
ვინც მიტევება და სიყვარული
მოჰფინა ხალხსა ია-ვარდ-ტრამლად.
ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
ვინც ბნელი სიბრძნით გაამზემთვარა,
ვინც ღვთაებრივის სწავლით გაგვწურთნა,
და მტერი ჩვენიც კი შეგვაყვარა!
ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
ვინც რჯულად დასდვა მადლი და სწავლა,
ვინც სიმართლისთვის ყოველ გვარ ტანჯვის
და გაჭირვების თმენა გვასწავლა.
ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
გარდმოვლენილი კაცად ღვთისაგან,—
ვინც ზეციურის მჭევრმეტყველებით
ქვეყანა იხსნა წარწყმედისაგან!
ის დაიბადა დღევანდელს დღესა,
ვინც ავს სძრახავდა გამოჩინებით,
ეს ბოროტ სულთა იუკადრისეს
და ჯვარზედ აცვეს კიცხვა-გინებით!..

დ. მაჩხანელი

საშობაო საჩუქარი

მოთხრობა ალბერტ ლადვოკასი

(ფრანგულიდგან *)

შობის ღამის ათი საათი იყო. გარედგან ბრბოს მხიარული ხმაურობა მოისმის. გაჩაღებულს დუქნებს დღესასწაულის ფერი ადევს. სასტუმროები თავისი გასპეტაკებულის სუფრებით, გაწკრიალებულის ბროლის ჭუ-

---

*) Albert Ladvocat. Un noel de pauvres gens.

რჭელითა და უხვის საჭმელებით ვახშმის მსურველთ მადას უღვიძებს.

მეექვსე სართულის პატარა ოთახში, რომელიც ერთის სანთლის შუქით არის განათებული, პატარა საწოლის ცოტა მოშორებით ჰზის ქალი და საკერავშია გართული. იგი ჯერ კიდევ ყმაწვილია, სულ არ იქნება ოც-და-ხუთის წლისა, მაგრამ რა უძლურია და ჩამომხმარი, გაფითრებული ტუჩები აქვს, გამოკრული ქერა თმა, დიდრონი ცისფერი მშვიდი თვალები, ჯერ ისევ მშვენიერი, თუმცა ღამის თევისაგან თვალის ქუთუთოები დასიებული აქვს და გარშემო ჩალურჯებული. ვიღაცას ელის და აღშფოთება ეტყობა. მოისმის თუ არა კიბეზედ ფეხის ხმაურობა, საკერავს თავს ანებებს და ერთ წუთს ყურს უგდებს, მაგრამ რა ფეხის ხმა მისწყდება და არავინა სჩანს, ამოიოხრებს და ისევ საკერავს უბრუნდება.

ძლივს, ეხლა-კი ის უნდა იყოს. უცბად წამოხტა და გააღო კარები. ოთახში შემოვიდა მუშა-კაცი. ქალი შეწუხებული შესცქეროდა.

— რა გაარიგე? ჰკითხა ბოლოს.

მაგრამ კაცი არ ეშურება პასუხის მიგებას. საშინელი მოქანცულობა ეტყობა. იგი დაეშვა სკამზედ, რომელიც ერთად-ერთი სახლის ავეჯი იყო. ქალი-კი იმის წინ იდგა და პასუხს მოელოდა. ბოლოს კაცმა უნუგეშოდ გაიქნია ხელი და სთქვა:

— არაფერი! ისევ არაფერი!

— ქალი გაფითრდა, ღონე-მიხდილი მაგიდას დაებჯინა, თავს ზარი დაეცა, მაგრამ მაინც ძალა მოიკრიფა, თავი გაიქნია, თითქოს არ უნდოდა ფიქრი გაეტარებინა რამ იმაზედ, რაც გაეგონა, და დაუწყო ხელ-მეორედ გამოკითხვა.

— გახალთანა და პლანთან იყავი?

— სამუშაო არა აქვთ.

— მენანის ქარხანაში?

— ეს ორი დღეა რაც დაუკეტიათ.

— კინოსთან?

— არა ჰმუშაობენ. ნახევარი თავისი მუშებიც დაუთხოვნია სრულიად·

— პიკართან? დარწმუნებული ვარ, რომ შენ იმის ნახვა არ მოგგონებია.

— როგორ არა. ასე მითხრა, ორის კვირის, ან ერთის თვის შემდეგ მოდი პასუხისათვისაო.

— მაშ იმედი უნდა გადავწყვიტოთ! წაიჩურჩულა ქალმა. აღარაფრის იმედი აღარ უნდა გვქონდეს, ცხადია. იქამდის მივაღწიეთ, რომ ხსნა აღარ არის. ეს არის ბოლო, დასასრული!

დაბნეულმა ხელ საქმეს ხელი მოჰკიდა; უნდოდა კერვა განეგრძო, მაგრამ თითები უთრთოდა საცოდავს და ნემსის ხმარება ვერ შესძლო, გულზედ ნაღველი მოაწვა და თან ჰფიქრობდა: ან რისთვის უნდა ვიმუშაო, განა ამ საკერავით შეიძლება ოჯახის სიღარიბისაგან დახსნა? თვალებ-გაშტერებული, მხრებ-დაშვებული ჩამოჯდა სკივრზედ და ფიქრებმა გაიტაცა. მიეცა ოცნებას და თავისი წარსული ბედნიერება წინ წარმოუდგა. ოჰ, რა ბედნიერი იყო ოდესმე! დიახ, ოდესმე... მართალია, მარტო ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ რა შორს ეჩვენება ეს დრო. მოაგონდა თავისი თავი ისევ შეგირდად სამკერვალოში, თავისი შეხვედრა კლოდთან. რა რიგად უკვირდა ეხლა, რომ მაშინ პირველ დანახვაზედ კლოდი სრულიად არ მოეწონა. მაგრამ ამ არ მოწონებამ მალე გაიარა, რადგანაც დარწმუნდა, რომ კლოდი საშინლად კეთილი იყო. გაიცნეს ერთმანეთი, კვირაობით მიდიოდნენ სასეირნოდ პარიზის უბნებში. კლოდი საკადნიეროს არას უბედავდა, რადგანაც პატიოსან ქალად იცნობდა და კარგად იცოდა, რომ ის არასოდეს ნებას არ მისცემდა თავისს თავს, ცუდი რამე ჩაედინა. ერთს დილას, ეს იყო სწორედ 13 აპრილს, კლოდი იმისს სადგომში მივიდა დიდის ყოფით მოკაზმული. მთლად ახლებში იყო გამოპრანჭული. შევიდა თუ არა, სთქვა: „ქალბატონო, მე თუმცა მდიდარი არ გახლავართ და არც ლამაზი, მაგრამ პატიოსანი კაცი ვარ და თუ ინებებთ...და დასთანხმდებით.“ თავისი აზრი ვეღარ დაამთავრა, მაგრამ ორთავენი ერთმანეთს ძალიან კარგად მიუხვდნენ და სიჩუმით განაცხადეს სურვილი ცოლქმრობისა: ოჰ, რა მშვენიერი ქორწილი გადიხადეს დიდს დარბაზში, რომელიც სულ სარკეებით იყო მორთული და შავს ფრაკებში გამოჭიმულნი მოსამსახურეები ემსახურებოდნენ. ახლა რამდენი სხვა-და-სხვა საჭმელები იყო! ბოლოს ტკბილი რომ მოიტანეს, კლოდის პატრონმა ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო დალია.

ამას ოჯახური ცხოვრება მოჰყვა, მერე რა ბედნიერი! მართალია, ბევრსაცა ჰშრომობდნენ, მაგრამ შრომა ტვირთად არ მიაჩნდათ. პირ იქით, რა მხიარულად გადიოდნენ დილით ქარხანაში იმ იმედით, რომ საღამოზედ ისევ თავს მოიყრიდნენ თავისს პატარა, მყუდრო ოთახში! ხშირად ერთმანეთს ეხუმრებოდნენ. ვინც დაასწრობდა სახლში დაბრუნებას, კარებს უკან დაიმალებოდა ხოლმე, და მერე ერთბაშად გამოჩნდებოდა. ეს ძალიან ართობდათ. ერთ დღეს-კი ხუმრობის დრო აღარ იყო, რადგანაც გულთან პატარა არსების მოძრაობა იგრძნო, რომელსაც ჯერ, მართალია, არც-კი იცნობდა, მაგრამ ეხლავე უყვარდა. წინადვე უმზადებდა პატარა პერანგებსა და წინდებს, ისეთს პატარებს, რომ სწორეთ კუკისა გეგონებოდათ. უნდოდა პატარა, რომელსაც მოელოდა, ხელმწიფის შვილსავით მოერთო.

ხუთ წლამდის რა სალი და ტურფა რამ იყო! ძალიან ამპარტავნობდა თავისის შვილით, კარგად ატყობდა, რომ გარეშენიც-კი აღტაცებით შეჰყურებდნენ იმისს პატარას. მაგრამ ერთს საღამოს-კი... ბავშვი ავად გაუხდა, გააცია. თითონაც არ იცოდა მიზეზი. მთელი იმისი პატარა სხეული კანკალებდა და თრთოდა. ისე დაღონებული შესცქეროდა დედას, თითქო ბოდიშსა სთხოვდა, რომ თავისს ავათმყოფობით აწუხებდა. ოჰ, რა საშინელი და საძაგელი საათები გაუტარებია აკვნის გვერდით ღამის დუმილში! რა გახურებული შუბლი ჰქონდა იმისს პატარას! იმისი სუნთქვა ხვნეშას წააგავდა, პირი ისე ჰქონდა მოკუმშული, რომ წამალი პატარა კოვზით უნდა სიფთხილით ჩაეწვეთებინათ. ის საშინელი მკურნალი თავისის მკაცრის სახით, რომლისაგანაც ვერას შეიტყობდით ავადმყოფის შესახებ!..

სიკვდილისაგან მაინც ამ მკურნალმა დაიხსნა მისი ძვირფასი გაბრიელი. ბავშვს ეხლა წამოდგომა შეეძლო და ოთახში სიარული თავის თავად. ამის ავადმყოფობის შემდეგაც რა ბედნიერნი იქნებოდნენ, უწინდებურად სამუშაო რომ ჰქონოდათ, და უსაქმოთ არ დარჩენილიყვნენ. მერე ეხლა რა რიგად უჭირდათ ფული, რადგანაც ყმაწვილის ავადმყოფობა ძალიან ძვირად დაუჯდათ. პირველში ის შემოეხარჯათ, რაც ცოტაოდენი ფული ჰქონდათ შეგროვილი; მერე სახლის ავეჯის გასყიდვა დასჭირდათ, და ბოლოს თავისი ტანისამოსიც კი დააგირავეს. ეხლა კი ყოველივე ღონისძიება გამოელიათ. ვაჭრები ნისიას აღარას იძლეოდნენ. დღეს დილით სახლის პატრონს იმათი ქონება უნდა დაებეჭდათ. რაღა ქონება, როდესაც აღარა ებადათ-რა, დილას მეფურნეს უკანასკნელის გროშებით გაუსწორდა. მაგრამ ხვალ? ხვალ რაღა ეშველებათ? როგორ გამოიკვებება სამ სამი სული?

ამას რომ შეეკითხა თავისს თავს ქალი, მაშინ გაახსენდა, რომ იმის ქმარს გუშინდელს აქეთ არა უჭამიარა და მშიერი უნდა ყოფილიყო. შეხედა მას შეწუხებულს და დაუძლურებულს და საშინლად შეებრალა. სიგმირით, რომლითაც დედაკაცი განთქმულია, თავისს მოვალეობად მიაჩნდა ქმრის გამხნევება და ნუგეშის ცემა, თუმცა თითონაც სასოწარკვეთილი იყო. თავი შეიმაგრა, ძალა მოიკრიფა და ქმარს უთხრა დამშვიდებულის ხმით:

— კარგი, როდემდის უნდა იყოს აგრე, ტყუილად სისხლს რად იფუჭებ, ნუ გეშინიან, შიმშილით არ დავიხოცებით. რა ვუყოთ, რომ ცოტა საქმის შოვნა გაგვიჭირდა. ხვალაც კიდევ დღე დადგება. მაშინ მოვძებნით საშუალებას, რომ როგორმე თავი დავახწიოთ. როცა კაცს ჯანი მისდევს და სინიდისი აქვს, არ შეიძლება რომ მისი საქმე კეთილად არ დაბოლოვდეს. ეხლა-კი მიდი, წვენი ჭამე.

— წვენიო!.. კარგი... ჭამის სურვილი გამოეხატა სახეზედ, მაგრამ მერე მოწიწებით ჰკითხა: პატარას?

— ნუ სწუხარ პატარასათვის, იმან თავისი კერძი მიირთვა. ჩვენმა მეზობელმა დედაკაცმა მშვენიერი ძროხის წვენი გამოუგზავნა. ეხლა კი ტკბილადა სძინავს.

თითქოს ამ სიტყვების გასამტყუნებლად პატარა ბავშვის ნაზი ხმა მოისმა:

— დედა! მანდა ხარ?

დედა საწოლს მიუახლოვდა და აღელვებით ჰკითხა:

— რა გინდა, ჩემო ძვირფასო? ხომ არა კტკივა-რა?

— არა, ის ავად არ იყო, მხოლოდ მამასთან ლაპარაკი უნდოდა და უთუოდ ეხლავე, რაღაცა ჰქონდა სათქმელი. მაგრამ ეს დიდი საიდუმლო იყო, ძალიან დიდი საიდუმლო. გაახვიეს დიდ შალში. ამ ამბავმა ძალიან გაართო და ბევრი აცინა ბავშვი. ხან ერთ ფეხს გამოჰყოფდა, ხან მეორეს და გახვევას უშლიდა. ბოლოს რომ კარგათ ჩაფუფნეს, მამამ კალთაში ჩაისვა და კოცნა დაუწყო.

— მე უნდა მეთქვა... ოჰ! რა რიგად იჩხვლიტება შენი წვერი. მე მინდა, რომ ჩემი ფეხსაცმელი გადმოიღო. იცი რომელი? ჩემი ლამაზი ახალი ფეხსაცმელი, რომელსაც მე ავადმყოფობის წინად დღესასწაულს დღეს ვიცვამდი ხოლმე. დიდს განჯინაში მოსძებნე და ბუხარში შეაწყე...

პატარა თითი ტუჩზედ მიიდო და დაუმატა:

— შენ აღარ მოგაგონდა, მე კი მახსოვს, რომ ხვალ შობაა და ამაღამ პატარა ქრისტე საჩუქრებს უგზავნის იმ ბავშვებს, რომელნიც ამისნი ღირსნი არიან.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეწუხებით გადაჰხედეს.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო გვრიტო! სთქვა ცრემლებ-მორეულმა კაცმა. წელს ვერაფერს მიიღებ, ხომ ჰხედავ, რა ღარიბები ვართ.

ბავშვმა ვერა გაიგო-რა, იგი გატაცებული იყო თავისის აზრებით და ამბობდა:

— რა არის, რომ ღარიბები ვართ, განა ქრისტესათვის ამას მნიშვნელობა რამე აქვს. ის ხომ თითონ მდიდარია. რატომაც არ ჩასდებს საჩუქარს ჩემს ფეხსაცმელში, მეც ხომ ღირსი ვარ, ხომ არა დამიშავებიარა?

აბა, მეტს რას იზამდნენ, რომ არ დაეჯერებინათ ამ პატარა ოჯახის ქოჩორასათვის და არ შეეწყოთ პაწაწა წაღები ბუხარში.

ეს სურვილი რომ შეუსრულეს, ბავშმა მშვიდად დაიძინა ხვალინდელის დღის იმედებით და ეხლავე მძინარეს სახე უღიმოდა. საცოდავო პატარა წაღებო, ვინ იფიქრებს ამ ბედნიერს ღამეში თქვენთვის, ვის მოუვა ფიქრად, რომ შიგ მცირედი რამ საჩუქარი ჩააწყოს.

კლოდი და იმისი ცოლი კიდევ დიდხანს იყვნენ თავ-ჩაღუნულნი, უძრავნი გამქრალის ბუხრის წინ. ძალიან უბედურნი იყვნენ ორივენი, იმდენს დარდსა და ვარამს ეხლა ესეც დაემატა. რა ექნათ, ღონისძიება არა ჰქონდათ, რომ მცირედ რამ საჩუქარი ჩაედოთ ფეხსაცმელში და ბავშვის გული გაეხარებინათ. ოჰ! რა გულს უკლავდათ ამ პაწაწა წაღების დანახვა, რომელიც თითქოს საჩუქარს მოელოდა და ცარიელები უნდა დარჩენილიყო.

— წავიდეთ, დავწვეთ! სთქვა ბოლოს კლოდმა. ხვალ ბავშვს დაავიწყდება ეგ.. . . . . .

. . . .

დილის შვიდი საათია. ოთახი ისევ ბუნდით არის მოცული. აი, ხმა გაისმა, ხმა პატარა ბავშვისა, რომელმაც გააღვიძა უცბად დედ-მამა. ორივეს მაშინვე წუხანდელი ამბავი მოაგონდათ და გული მწუხარებით აევსოთ. მაგრამ დახე იმათს გაკვირვებას, ეს ბავშვის ხმა სიხარულით სავსე იყო, ოჰ, მერე რა სიხარულით, ამ სიხარულმა ერთბაშად გაამხიარულა და გაანათა ოთახი.

— დედა... მოდი, ჩქარა ნახე! პაწია ქრისტეს ჩემთვის მშვენიერი საჩუქარი დაუტოვებია!..

— საჩუქარი?! ცოლ-ქმარმა გაკვირვებით შეჰხედეს ერთმანეთს: რას ჰნიშნავს ეს სასწაული?

ფეხშიშველმა ბავშვმა მოირბინა და თავ-მოწონებით აჩვენა თავისი წაღები. ფეხ-საცმელში იჯდა პატარა თაგვი, მთლად თეთრი, ლურჯ თვალებიანი. უეჭველად თოვლის გუნდას ჩამოჰყვებოდა ჭერიდგან საცოდავი თაგვი და პატარა ფეხსაცმელს ამოირჩევდა თავის ბინათ. საცოდავი ისევ გაყინული იყო, განაბული იჯდა და მარტო პაწაწა თვალებს ატრიალებდა გარშემო. ბავშვი სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა. თავისს დღეში ამისთანა სათამაშო არა ჰქონია. ეს სათამაშო უბრალო ქაღალდისა-კი არ იყო, ნამდვილი ცოცხალი ცხოველი იყო, თავის თავად ჰმოძრაობდა.

ერთბაშად რაღაც აზრმა გაურბინა ბავშვს და მამას ჰკითხა:

— მამა, შენ რაღა მოგიტანა ქრისტემ?

— მე? არაფერი, მე დიდი ვარ.

— იქნება დაიგვიანა, სთქვა ბავშვმა; იმას იმდენი საქმე ჰქონდა წუხელის... დარწმუნებული ვარ, ქრისტე უთუოდ მოვა. მოიცა, ეს რა ხმაურობაა. იქნება ის არის!..

მართლაც-და, კარების რაკუნი მოისმა. ქრისტე-კი არა, და წერილების დამტარებელი იყო, რომელმაც წერილი მოიტანა.

კლოდმა ხელში აიღო წერილი და სინჯვა დაუწყო. უკვირდა, საიდგან უნდა იყოს ეს წერილი, ან ვილას და ვახსოვართ.

— ეს რას ჰნიშნავს? ამ წერილს შატეხის ბეჭედი აზის. ეს ის ქალაქია, სადაც ჩემი ბიძა ჟაკი სცხოვრობს, რომელსაც თვალის დანახვადაც-კი ვეჯავრებოდით, რადგან მამა ჩემთან ნაჩხუბარი იყო.

გახსნა წერილი და ხმა-მაღლა დაიწყო კითხვა:

„ჩემო ძვირფასო ძმისწულო და რძალო!

„რადგანაც სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობ, ჩემ სინიდისს ჩავუფიქრდი და თვალი რომ გადავავლე ჩემს წარსულს, ვიგრძენი, რომ დიდი დანაშაულობა მიმიძღვის თქვენს წინაშე. თქვენ არა ხართ დამნაშავე ჩემთან და რად უნდა იყოთ პასუხის მგებელი ჩემის ძმის დანაშაულში. გარნა ამისა, კარგად ვიცი, რომ ორივენი მშრომელნი და პატიოსანნი ხართ! მაშასადამე, ჩემის მხრივ დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ თქვენ უცხოებსავით მოგექცეთ. თუ მაპატიებთ უწინდელ ჩემს საქციელს, ეხლავე ჩემთან წამოდით და ერთად ვიცხოვროთ. მე ძალიან მდიდარი არა ვარ, მაგრამ რაცა მაქვს, თუ გაფრთხილებით ვიცხოვრებთ, სიკვდილამდის გვეყოფა და გაჭირვებას არა ვნახავთ. საჭირო არ არის...“

კლოდმა ვეღარ გაათავა კითხვა, ისე იყო აღელვებული.

— ოჰ, წამოიძახა მხიარულად; ეხლა-კი აღარა გვიჭირს რა, ჩემო საყვარელო მეუღლევ, ეხლა არც შენ და არც პატარა შიმშილითა და სიცივით აღარ დამეხოცებით. აჰ, ეს წერილი სწორედ ციდგან არის მოვლენილი!

— ოჰ, მამა, მაშ ციდგან არის? დაუმატა ბავშვმა; მაგას ქრისტე გიგზავნის განა? მაგრამ ეგ-კი ვერაფე[illegible]რია, რომ იმას მარტო შენა და[illegible]და. მოვაგონდით და დედა-კი დაა[illegible] სთქვა ამ მხრივ-კი ცუდად მოიქ[illegible] გაბუტებით ბავშვმა.

გახარებულმა დედა[illegible]ულზედ მიიკრა:

— არა, ნუ [illegible]ბ მაგას, გენაცვალე, პატარა [illegible]ისტეს არც მე დავვიწყებივარ[illegible]ადგანაც იმან შენი თავი დამი[illegible]ა სიკვდილისაგან და ამითი საკეთესოდ დამაჯილდოვა. ეხლ[illegible] მე მარტო იმას ვევედრები მუხლ[illegible]დრეკილი, რომ ყოველ განსაცდელისაგან დაგიფაროს ჩემდა სანუგე-

შოთ, ჩემო ძვირფასო განძო!.. ყველაზედ უფრო შენ მიყვარხარ...

— მე-კი დაგავიწყდი, დედაკაცო? ჰკითხა კლოდმა და თან თავისის კეთილის თვალებით შეჰყურებდა.

— შენც, ჩემო კარგო, ძალიან კარგად იცი, რომ თაყვანსა გცემ, მიუგო ცრემლებ-მორეულმა ცოლმა და თავისი ბავშვი კვლავ გულში ჩაიკრა.

ანასტასია გედევანიშვილი

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 25 დეკემბერს, მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი სიონის ტაძარში წირვასა და სამადლობელს პარაკლისს გარდიხდის. პარაკლისის დასრულებისას არსენალის მთაზედ 21 ჯერ დასცლიან ზარბაზანს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

⁂ სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს. განზრახულ ქართულ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ კავკასიის მთავარმართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა 1,000 მან. და გ-ნმა ვ. ლ. ველიჩკომ—50 მან.

⁂ ჯერ ექიმები არ შესდგომიან იმის გამოკვლევას, თუ რა ალაგასა აქვს თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს ტყვია ჩამჯდარი, მხოლოდ ის იციან, რომ ტყვია ღვიძლის ახლო-მახლოა. ტყვიის ამოუღებლობა ავადმყოფს არას აწუხებს, ექიმებს გარდაწყვეტილი აქვთ, თუ ვინიცობაა სიცხემ უმატა, მაშინ რენტგენის სინათლის შემწეობით გამოიკვლიონ, რა ალაგას არის ტყვია და შემდეგ ამოიღონ იგი.

გუშინ, 24 დეკემბერს, საღამოს ხუთს საათზედ, აი რა მდგომარეობაში იყო თავ. მუხრან-ბატონი, როგორც მისი ექიმი გვწერს:

„ავადმყოფმა ღამე კარგად გაატარა, დიდს ტკივილს არასა ჰგრძნობს. სითბო ტანისა კვლავ წესიერი აქვს. მაჯა კარგად უცემს. საერთოდ ავადმყოფის მდგომარეობა დიდად კმასაყოფელია. გუშინ პირველად დავათვალიერეთ და შეუხვიეთ ჭრილობა. ნატყვიავარს კარგი პირი უჩანს.

მკურნალი ს. მაისურიანცი"

⁂ ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია პლიუშჩევსკის მიერ თავ. მუხრან-ბატონის დაჭრის შესახებ. ათასნაირს კილოს აბმენ პლიუშჩევსკის საქციელს. ზოგი ამბობს, რომ პლიუშჩევსკის ძალიან შეეშინდა დაპატიმრებისა და იმიტომ გადასწყვიტა თავისი და თავ. მუხრან-ბატონის მოკვლაო. ზოგი—სულით ავადმყოფი იყოო, ზოგი კიდევ პლიუშჩევსკის საქციელის უმთავრესს მიზეზად იმის ხასიათს ასახელებს. თუმცა 76 წლისა იყო, მაგრამ მეტად ფიცხი და ბრაზიანი ხასიათის კაცი იყოო. უკანასკნელს დროს პლიუშჩევსკი შესამჩნევად შეიცვალა, მუდამ დაფიქრებული და დაღვრემილი დადიოდა ხოლმე და ნაცნობებს სულ იმას ეუბნებოდა, რომ „სახალინაში ვაპირებ წასვლასაო". იმ ექიმების სიტყვით, რომელთაც იმის გვამი გასჭრეს, პლიუშჩევსკი, 76 წლის მიუხედავად, იმდენად ჯანსაღი ყოფილა, რომ კიდევ დიდ ხანს იცოცხლებდაო. იმის გონების მდგომარეობის გამორკვევა შეუძლებელი გახდა, რადგანაც ტყვიას მთელი ტვინი აერ-დაერია.

⁂ დავა პლიუშჩევსკისა და თავ. კ. მუხრან-ბატონისა, პლიუშჩევსკის სიკვდილის მიუხედავად, არ მოისპობა და მაინც განხილულ იქმნება სასამართლოს მიერ.

⁂ შაბათს, 27 დეკემბრისთვის, დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმის აღმასრულებელ კომისიისა და ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად საგანგებოდ მოწვეულის კაცებისა. კრება შუადღის 12 საათზედ დაიწყება.

⁂ ქართული დრამატიული დასი ჩვეულებრივ პირველს იანვარს გამართავს საიუბილეო წარმოდგენას ქართულის თეატრის დაარსების სახსოვრად. ამ დღისათვის ჩვენი დასი დიდს სამზადისშია. გ-ნს პ. უ—შვილს საიუბილეო პიესაც დაუწერია, რომელსაც სახელად „სამზადისი" ეწოდება და რომელშიაც გამოყვანილია სცენის მოყვარენი კნ. ქეთევან ორბელიანისა, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, პლატონ იოსელიანი და სხვანი.

⁂ ხმოსანმა გ. გ. ევანგულოვმა მიჰმართა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და სთხოვა, გამომრიცხეთ ნაფიც ვექილთა რიცხვიდგან, და ამისი წერილობითი მოწმობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროში წარსადგენად.

⁂ გუშინ-წინ, 23 დეკემბერს, კრებაზედ ქალაქის საბჭომ დაადგინა: შეავსოს საუნივერსიტეტო თანხა 100,000 მანეთამდე. ამ თანხისა ამ ჟამად ფულად მხოლოდ 28,000 მანეთია, დანარჩენი-კი ქალაქის სხვადასხვა საჭიროებისათვის არის დახარჯული.

⁂ გაზ. „Тер. Вѣд." სწერს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მომავალ წლის თებერვალში მიწვეულ იქმნება ქ. პეტერბურგშიო. გ-ნმა მზრუნველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ადგილის ამორჩევა პოლიტეხნიკუმისათვის. ამავე დროს კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინიც პეტერბურგში იქმნება და პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე უსათუოდ თებერვალშივე გადაწყდებაო.

დამაკვირდი

ერი ისე უნდა უფრთხილდებოდეს კანონს, როგორც თავისს ზღუდეს, როგორც თავისს დამცველს გალავანს.

ჰერაკლიტი

* * *

რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, მაინც ადამიანი ყველაზედ ღირსეული არსებაა ამ ქვეყნად.

გიოტე

* * *

კაცსა გასცდის და აღონებს
სოფლისა ნივთთა წესია,
ხანი შვებს, იტყვის, რა გიშავს,
ხან-კი სტირს ცრემლთა მთესია,
ხან ეს ჰგონია, უკვდავ ვარ,
ხან სნეულ არს და მკვნესია,
სულსა ჰხამს რამე უღვაწოთ,
ყველას ეს უკეთესია.

იოსებ ტფილელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჯადოქარი XIX საუკუნის დასასრულისა.

გაგიგონიათ თქვენ როდისმე რამე გვამის გალითონების, ანუ გვამის მაგარ, უხრწნელ და უკვდავ ლითონად გადაქცევის შესახებ? დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ მკითხველთა შორის ასიდგან 99 გაკვირვებით იკითხავს, ნუ თუ ეს შესაძლებელიაო.

მაგრამ ასეთი საშუალება უკუნითი უკუნისამდე გვამის შენახვისა, ანუ ლითონად გადაქცევისა მართლა ყოფილა.

ერთს ჟურნალში აი რა საყურადღებო წერილია დაბეჭდილი:

სწორედ რომ ამ საუკუნის დასასრულის ჯადოქარი გახლავთ პროფესორი მარინი. მარინი იტალიელია, სცხოვრობს ნეაპოლში და მეც იქა ვნახე ჩემის უკანასკნელის მოგზაურობის დროს.

მაგრამ თავიდგან მოგახსენებთ ყველაფერს. ერთხელ ქუჩაში დავსეირნობდი მოწყენილი. შემხვდა ჩემი ნაცნობი და მკითხა:

— ჰო, მართლა, იყავით კიდეც მარინისთან? არა? მაშ ეხლავე წადით.

— რადა? ვინ არის ეგ მარინი?

— არ გაგიგონიათ? ეგ უკეთესი. წადით და გაიგებთ, ვინც არის. აი იმისი ადრესი: Rettofilo, 117.

წაველი. გზაში სულ იმის ფიქრში ვიყავი, ვინ არის-მეთქი ეს მარინი. აი მიველი კიდეც. ეხლა მე თითონ დავრწმუნდები, ღირდა თუ არა ჩემი აქ მოსვლა.

მესამე სართულში აველი. კარებზედ ეწერა: პროფესორი ეფიზიო მარინი.

„მეცნიერი ყოფილა, ვიფიქრე; მაგრამ ამ კურთხეულ იტალიაში ხომ ყველა წერა-კითხვის მცოდნე კაცი პროფესორია: უცხო ენების მასწავლებელი და მემუსიკე, სტუდენტიცა და თვალთ-მაქციც".

ზარს ჩამოვკარი. კარი გაიღო და მაღალი ხმელ-ხმელი კაცი მომეგება. ჩემი ვინაობა მოვახსენე. ხელი ჩამომართვა.

Venga, Venga,—მითხრა მარინიმ და თან დასძინა: ეხლავე დარწმუნდებით, რომ ტყუილად არ დაჰკარგეთ დრო.

ამ სიტყვებთან ერთად გამიღო მეორე ოთახის კარი და მიმიწვია. შეველ თუ არა, იმ წამსვე ვიფიქრე, რომ მასპინძელი ხელოვნების მოყვარე ყოფილა. დავინახე ბრინჯაოს ქანდაკება, მაგრამ რაღაც უცნაური, საოცარი, თითქოს ცოცხალი ადამიანი იყოსო. აგერ კიდევ მეორე ქანდაკება; ბავშვის სხეულსა ჰგავს. სწორედ რომ საუცხოვო ხელოვნების ნაწარმოებია მაგრამ ამ ქანდაკების დანახვამაც რაღაც ნაირად ამაღელვა და თითქოს დამაღონა კიდეც.

აგერ კიდევ ბრინჯაოსაგან გაკეთებული ხელი, ისე ხელოვნურად გაკეთებული რომ ნამდვილი ხელი გეგონებოდათ ადამიანისა. ეს ხელი სეტემბრინისაა.—მითხრა პროფესორმა.

— ვისი?

— ლუშა სეტემბრინისა.

— ბრინჯაოსია!

— არა, ღიმილით მიპასუხა პროფესორმა, ნამდვილი ხელია.

— ნამდვილი?

— დიაღ, ნამდვილი. თქვენ ხომ ეფიზიო მარინისთანა ხართ ეხლა, მაშ გიკვირთ, რომ... მაგრამ...

პროფესორს კვლავ ღიმილი მოუვიდა.

— ან იქმნება, არც-კი იცით, ვინა ვარ მე? ეს რომ მკითხა, ცოტა არ იყოს წამოვწითლდი.

— დიაღ, მე...

მაშ მე მოგახსენებთ, ვინ არის ეფიზიო მარინი. ეს ის კაცია, რომელსაც ყველა იმედმა უმტყუნა. არავინ დააფასა. ასეთნი ხომ ბევრნი არიან დედამიწის ზურგზედ... მაგრამ ეს მიბრძანეთ, ნუ თუ არაფერი გაგიგონიათ თქვენ „ვითომ-და მკვდრეთით აღდგენის შესახებ"?

— არასოდეს!

— არა გაგიგონიათ-რა გვამის გალითონების შესახებ?

— გალითონება? დიაღ, გამიგონია, მაგრამ დიდი ხანია მას აქეთ. მახსოვს, ვიღაც მეცნიერი ამტკიცებდა, რომ შემიძლიან გვამი ლითონად გადავაქციო და ამ გვარად უკვდავ ვჰყოო.

დიაღ, სწორედ ეგრეა. ეგ მეცნიერი მე გახლავართ. ხომ ჰხედავთ ამ ქანდაკებას,—იმ ქანდაკებისაკენ მიმითითა, მე რომ გამაოცა,—ეს გვამი გახლავთ ერთის გლეხის შვილისა, რომელიც 1872 წელს გარდაიცვალა. ესეც ბავშვის გვამი გახლავთ, ლითონად გადაქცეული 1884 წელს... აი ეს ხელ-ფეხი გალითონებულია ამ 20—30 წ. წინად. ფიცარი მაგ მაგიდისა, თქვენ რომ ხელი გაქვთ დაყრდნობილი, ორად გადაჭრილი და გალითონებული გვამია 18 წლის ქალისა, რომელიც სახადით გარდაიცვალა.

შიშით უკან დავიწიე. დავაკვირდი მაგიდის ფიცარს და ვნახე, რომ მართლაც ადამიანის სხეულსა ჰგავდა.

— ეგ ჯერ არაფერი, მითხრა მარინიმ: გთხოვთ, თან გამომყვეთ.

მეორე ოთახში შემიყვანა. შუა ოთახში იდგა შუშის ყუთი, სწორედ ისეთი, მუზეიში რომ წმინდა სანთლისაგან გაკეთებული ნაწილები ულაგიათ ადამიანის სხეულისა. ყუთში იდო გვამი მშვენიერის ბავშვისა. გეგონებოდათ, ცოცხალია და მხოლოდ სძინავსო.

— ეს საუკეთესო ნაწარმოებია ჩემის ხელოვნებისა, მითხრა ამ შესანიშნავმა კაცმა. ამ ლითონს მხოლოდ სული აკლია განსვენებულ ბავშვისა. სწორედ მითხარით, ისე არ გეგონათ, რომ ამ ბავშვსა სძინავსო? მაგრამ, აი 22 წელიწადი მიდის, რაც ამ ბავშვს სძინავს საუკუნო ძილით. ატყობთ განა, რომ 22 წლის წინად დაუძინია? არა, განა? ამას ვერც ასისა და ათასის წლის შემდეგ შეატყობს ვინმე... დაჰხედეთ ეხლა ამ ფეხს, რა რბილია, თითქოს ეხლა მოსჭრეს ადამიანსაო. ეხლა ჰნახეთ, რა აწერია ზედ მიბმულ ქაღალდზედ. წავიკითხე და შევიტყე, რომ ეს ფეხი მკურნალებს ერთის კაცისათვის მოუჭრიათ 1868 წლის 29 იანვარს.

— როგორც ვატყობ, თქვენ ისიც შეგძლებიათ, რომ უკვე გამხმარსა და გაძვალტყავებულს გვამს ისეთი სანახაობა მისცეთ, რომ ახლად გარდაცვალებულის გვამსა ჰგავდეს?

პროფესორს კვლავ ღიმილი მოუვიდა.

— შეჰხედეთ ამ ფეხს,—მიპასუხა მარინიმ. განა იმ ფეხს არა ჰგავს, ეხლა რომ გიჩვენეთ. ეს ფეხი ეგვიპტეში არის ნაპოვნი ერთს აკლდამაში.

— ერთი ეს მიბრძანეთ, ხშირად მოგმართავთ ხოლმე ხალხი, განსვენებულის გვამი ლითონად გვიქციეთო?

— არც თუ ძლიერ ხშირად, მაგრამ ხანდახან-კი მომმართავენ ხოლმე. მაგალითად, მე გავალითონე გვამი მარკიზის აფდიტოსი, მემუსიკის ტალმერისა და ტილარისა. ლითონად ვაქციე აგრეთვე გვამი კაიროლისა, გვამი ახალგაზდა ჰერცოგის ქალის მანიოლისა და რამდენიმე სხვაც, რომელიც აგერ უკვე 6 წელიწადია შუშის კუბოში განისვენებს.

— მერე ეგრე ნაკლებად რად არის თქვენი სახელი გავრცელებული მეცნიერთა შორის?

— იმიტომ, რომ ბუკსა და ნაღარას არა ვცემ და არა ვცდილობ თავის გამოჩენას. პარიჟში რომ მსოფლიო გამოფენა იყო 1867 წელს, იქ იყო გამოფენილი ჩემ მიერ რამდენიმე გალითონებული გვამი. ყველას მოეწონა ჩემი გამოგონება, დამაჯილდოვეს კიდეც. მაგრამ მერე-კი მალე დამივიწყეს, თვით ჩემი სამშობლოც-კი ყურადღებას არ მაქცევს, მაგრამ მე მაინც გულმოდგინედ ვშრომობ. ამ სიტყვების შემდეგ მესამე ოთახში შემიყვანა.

— აი, კიდევ ჩემის ხელოვნების ნაწარმოები. პროფესორმა გადმომცა მიხაკის ყვავილი.

გაკვირვებით შევხედე. რის გამოსადეგი უნდა იყოს-მეთქი ეს ყვავილი.

— ეგ ყვავილია, მითხრა პროფესორმა, მკვდარი იყო, როგორც ის ბავშვი, წელან რომ ჰნახეთ, და მე ახალი საუკუნო სიცოცხლე მივანიჭე. ჩემის ხელოვნების წყალობით ეგ ყვავილი უკუნითი უკუნისამდე შეინახება. ამ ყვავილს მხოლოდ სურნელოვანება აკლია, ე. ი. სული.

მე უკან მინდოდა დამებრუნებინა ყვავილი, მაგრამ ასე მითხრა.

— დარჩეს თქვენთან, სახსოვრად, თორემ თქვენც, როგორც ბევრმა სხვამ, არ იწამებთ ჩემს ხელოვნებას.

ეს ყვავილი დღესაც თან დამაქვს, ისევ ისე ახალია, რბილი, თითქოს ეხლა იყოს მოწყვეტილიო და აკლია მხოლოდ სურნელოვანება, როგორც მარტო სული აკლია იმ პატარა ბავშვს, მინის ყუთში რომ ვნახე.

რა გვეთქმის კიდევ ამ ამბის შესახებ. ვიტყვით მხოლოდ, რომ პროფესორმა მარინიმ გვამის გადაქცევა ლითონად 1864 წელს მოიგონა. პარიჟის გამოფენის დროს 1867 წელს მარინი მიიღო იმპერატორმა ნაპოლეონმა მესამემ და მოუსმინა შესანიშნავი მოხსენება ამ გამოგონების შესახებ. მას აქეთ დიდმა ხანმა გაიარა, მაგრამ მარინის გამოგონებისათვის საკმაოდ არ მიუქცევიათ ყურადღება.

რა არის ამის მიზეზი? მეტის მეტი მორცხვობა, რომელიც ხასიათად აქვს ამ მეცნიერს, რაც არა ერთხელ აღუნიშნავთ იმათ, ვინც-კი ყოფილა ამ შესანიშნავ კაცთან.

გასართობი

გარდამეტებული ზრდილობა ის არის, რომ სხვას ცხვირი მოჰხოცო.

გარდამეტებული შენისავე თავის პატივისცემა ის არის, რომ შენთავად ჰლაპარაკობდე და შენსავე თავს ქუდი მოუხადო.

გარდამეტებული გულ-მავიწყობა ის არის, რომ შენი ცოლი სხვასთან დაგავიწყდეს და სხვის ცოლთან ვახშმად წახვიდე სადმე.

* *

— საკვირველიაო, ამბობდა ერთი კაცი: როდესაც შესანიშნავი მწერალი კვდება, ყველა გაზეთებში უშველებელს წერილებსა ჰბეჭდავენ ხოლმე, და როდესაც იბადება, მაშინ-კი კრინტსაც არა სძრავენ.

* *

სოფელში ქვრივს დედაკაცს თავისი ერთად-ერთი ვაჟი გარდაეცვალა. მეზობლებმა თავი მოიყარეს ნუგეშინის საცემად. იქვე იყო იმ სოფლის ხუმარა კაცი. ხუმარა განზე გაიხმეს და სთხოვეს: „ოღონდ დღეს ისეთს ნურას იტყვი, რომ გაგვაცინოს და თითო კოდს პურს გაჩუქებთო". მოვიდა მღვდელი და ანდერძის აგებას შეუდგნენ. ყველანი ცრემლად იღვრებოდნენ ქვრივის საცოდაობით. ხუმარამ აიღო ტომარა, შიგ ლიტრიანი ჩადო, თოკი მოაბა, ავიდა ბანზედ, ერდოდგან ჩაჰკიდა ტომარა და ჩასძახა:

— თქვენი ჭირიმეთ, ასე ერთად შეკრებილს ვეღარა გნახავთ, თუ მომცემთ დაპირებულს თითო კოდს, ბარემ მომეცითო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 დეკემბერი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст." გამოქვეყნებულია ნორმალური წესდება გაჭირვებულ მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოებათა.

მოსკოვი. პროფესორს ზახარინს სისხლი აუვარდა თავში და გარდაიცვალა.

ბუდაპეშტი. წარმომადგენელთა პალატა. პროექტი დროებით მორიგების შესახებ შეწყნარებულ იქმნა კამათის შემდეგ დიდის ხმის უმეტესობით.

იოკაჰამა. გრაფი იტო შეუდგა ახალის კაბინეტის შედგენას.

ტორონტო. გუშინ ქალაქ ლონდონის (კანადა) თვითმართველობაში კრებას დაესწრო 2,000 კაცი. უცბად ერთი ნაწილი იატაკისა ჩაინგრა და ორასი კაცი ჩაცვივდა ძირის სართულში, სადაც თვით ქალაქის მოურავის კაბინეთია; აქაც ჩაიმტვრა იატაკი და დიდ-ძალი ხალხი ჩავარდა სარდაფში. ჯერ-ჯერობით აღრიცხულია 22 მკვდარი და 100 დაჭრილი.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის სამს ეპისკოპოსს უკვე მიეცა ბერათები. მთავარმა ფერდინანდმა, საექსარხოსომ და ბოლგარიის მთავრობამ გადაუხადეს კიდეც სულთანს მადლობა. რუმინია კვლავ შეეცადა, რომ აღასრულებინოს სულთანს არა ერთ-გზის დანაპირევი და განსაკუთრებული მიტროპოლიტი დაანიშვნინოს ოსმალეთის რუმინთათვის.

Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Декабря 1897г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.